ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დავით კაკაბაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი შონია – კოლეგიის წევრი

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 016/13

გადაწყვეტილების მიღების თარიღი:

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – გ. ძ. /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ძ.-სათვის ,,დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 30 იანვარს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ძ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს მინდობილობა გაუფორმა 2011 წლის 15 აგვისტოს. მან ადვოკატს გადასცა მომსახურების საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ადვოკატ გ. ძ.-ს სხვა ადვოკატთან ერთად უნდა ეწარმოებინა ე. ბ. მშობლების ქონებიდან სამკვიდრო წილის მიღების საქმე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გ. ძ. სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეზე სამოქალაქო სამართლებრივი დავა აწარმოა. სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადასცა სააღსრულებო ფურცელი და თავად არ უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ძ. 2013 წლის 08 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც, საქმე, რომელსაც იგი ე. ბ. სახელით აწარმოებდა, წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლებრივ დავას, რადგან საჩვირის ავტორის ინტერესი იყო, რომ მშობლების ქონებიდან მიეღო სამკვიდრო წილი. ადვოკატის განცხადებით, დავის სამოქალაქო წესით წარმოების სტრატეგია განუმარტა და შეუთანხმა კლიენტს, კლიენტი დაეთანხმა სამოქალაქო სამართლებრივი წესით საქმის წარმოებას და პრეტენზია არ გამოუთქვამს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, რომლითაც ე. ბ. სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მან აიღო სააღსრულებო ფურცელი და გადასცა ე. ბ.-ს გ. ძ. კლიენტს განუმარტა, რომ მათი ურთიერთობა ამით დასრულებული იყო, რაზეც თანხმობა მიიღო ე. ბ.-აგან. ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტს ასევე განუმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა შეეტანა საჯარო რეესტრში.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მიზნით ურეკავდა მას, ემუქრებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი, გ. ძ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ე. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 30 იანვარს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2011 წლის აგვისტოდან 2012 წლის სექტემბრამდე პერიოდში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ძ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა კვალიფიციურად არ შეასრულა მისი წარმომადგენლობის მოვალეობა, კერძოდ, მან სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეზე სამოქალაქო სამართლებრივი დავა აწარმოა. ასევე, ადვოკატმა საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და არ უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ძ.-ს მიერ ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 კლიენტის მიერ ადვოკატისათვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5.4 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. მან უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

5.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №066/10/ დაადგინა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის

დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

5.6 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №026/10/ დაადგინა, რომ ,,ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.7 მოცემულ საქმეში ე. ბ. ინტერესი იყო მემკვიდრეობის მიღება და ამ მიზნით ადვოკატმა სარჩელით მიმართა სასამართლოს. გ. ძ. კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა ყველა სასამართლო პროცესზე (იხ. ს.ფ. 8-ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება; იხ. ს.ფ. 24-ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 09 ნოემბრის განჩინება). ე. ბ.-მ მისთვის სასურველი შედეგი მიიღო, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა და ე. ბ. ცნობილ იქნა მისი მშობლების სამკვიდრო ქონების ¼ წილის მესაკუთრედ (იხ. ს.ფ. 15-ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება).

5.8 ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, კლიენტს მიეწოდა ინფორმაცია და კლიენტმა თანხმობა განაცხადა, რომ ადვოკატს საქმე ეწარმოებინა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ ადვოკატმა სამოქალაქო წესით არასწორად აწარმოა საქმე, რომელიც სისხლის სამართლის წესით უნდა ეწარმოებინა. კლიენტს სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არ გამოუთქვამს პრეტენზია საქმის სამოქალაქო წესით წარმართვასთან დაკავშირებით და არ შეუწყვეტია ადვოკატთან ურთიერთობა, შესაბამისად, ის ეთანხმებოდა არჩეულ სტრატეგიას.

5.9 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ გ. ძ.-ს ქმედებები სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

5.10 ადვოკატ გოძა ძიმისტარიშვილს მინდობილობით ჰქონდა მინიჭებული სააღსრულებო ბიუროში წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, შემუშავებულია მინდობილობის სტანდარტული

ფორმები, რომლითაც ადვოკატს მიენიჭება სხვადასხვა ორგანოებში წარმომადგენლობის უფლება და არა კონკრეტული საქმის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო უფლებამოსილება. სააღსრულებო ბიუროში კლიენტის ინტერესების წარმოდგენა ისეთი სახის ვალდებულებაა, რომელიც მხარეთა შეთანხმებით სპეციალურად უნდა იყოს გათვალისწინებული.

5.11 ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წერილობითი ფორმით არ დადებულა. ადვოკატის განცხადებით, კლიენტთან ზეპირი შეთანხმების თანახმად, მას არ ევალებოდა სააღსრულებო ბიუროში წარმომადგენლობა. სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ მათი ურთიერთობა დამთავრდა, ადვოკატმა კლიენტს გადასცა სააღსრულებო ფურცელი და განუმარტა, როგორ მიექცია აღსასრულებლად სასამართლო გადაწყვეტილება.

5.12 ეთიკის კომისია საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ მინდობილობას იმისათვის, რომ დაადგინოს ფაქტი-ადვოკატ გ. ძ.-ს ჰქონდა სააღსრულებო ბიუროში კლიენტის წარმომადგენლობის ვალდებულება. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისთვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, ასევე არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც დადასტურდებოდა სადაო გარემოება.

5.13 ეთიკის კომისია იზიარებს ადვოკატ გ. ძ.-ს განმარტებას, რომ მასსა და ე. ბ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა შესრულებით და ადვოკატს არ ჰქონდა სააღსრულებო ბიუროში კლიენტის წარმომადგენლობის ვალდებულება.

5.14 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ გ. ძ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით, 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №016/13 ადვოკატ გ. ძ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დავით კაკაბაძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი შონია/

კოლეგიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/